მეს. თუ ზემოხსენებული პირობების შესრულება არ შეუძლია ჩვენი სოფლების წარმომადგენლებს, მაშინ ექიმმა რა ქნას.

ექიმი გაშაკიძე.

---

**) ყურადღების ღირსია ბ-ნი გაშაკიძის სტატია განათლებული ექიმების სოფლათ მოქმედებაზე, მაგრამ მისი წინადადება, თუ რა ღონისძიებით უნდა იქნენ სოფლათ დაბინავებული ნასწავლი ექიმები და ხალხის მიერ უზრუნველ-ყოფილი, —ჩვენ არ მოგვწონს და ვერც ვეთანხმებით მას აწლანდელ გარემოებაში. ჩვენ ხალხს დასაც საკმაოთ შეგნებული აქვს ის აზრი, რომ ნასწავლი ექიმები მისთვის საჭიროა სოფელში და ბევრათ უპირატესობასაც აძლევს მათ თავის სოფლის ექიმებზე, თუ რომ ნასწავლმა ექიმმა შეძლებაზე მომეტებული სასყიდელი არ მოთხოვა ღარიბ სოფლელს. განა ცოტა მაგალითია ჩვენში, რომ ნასწავლს ექიმს დაუმსახურებინოს ხალხის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა? და თუ ის ხალხის ნდობას დაიმსახურებს, ნივთიერათაც საკმაოთ დაჯილდოვებული იქნება. ვინ არ იცის, რომ გურიაში ექიმი ივგოფ თაყაიშვილი ხალხისგან ძალიან პატივცემულია და კარგათაც არის მისგან დაჯილდოვებული. როცა იმან პირველათ დაიწყო ექიმობა, მას არც ჯამაგირის დანიშვნა მოუთხოვია და არც სასყიდელი, მაგრამ თითონ გურიის ხალხს არ გამოუჩენია გულცივობა. ლეჩხუმისთანა მივარდნილი კუთხე საქართველოში თითქმის არ არის, მაგრამ, როგორც იასონ გელოვანის წერილიდან ჩანს, იქ არიან ნასწავლი ექიმები და ხალხიც არ მოქცევია მათ უმადურათ, შიმშილით არ მოუკლავს. მერწმუნეთ, ბ-ნო ექიმო გაშაკიძე, რომ ოღონდ ნასწავლმა ექიმმა ხალხს უჩვენოს ავათმყოფის სიყვარული და პატრონობა, ხალხიც მალე დააფასებს მას და მასწავლებელზე და დვდელზე უფროც დააჯილდოვებს. სოფლელებზე ახალი ხარჯის გაწერა, რომ ექიმს გადაწყვეტილი ჯამაგირი მიეცეს, საჭირო არ არის. ყოველი ოჯახი, რომელსაც ავათმყოფი ჰყავს, საკმაოთ დააჯილდოვებს ექიმს შეძლები. სამებრ, ოღონდ ექიმმა გულმხურვალეთ მოუაროს ავათმყოფს და შეძლებაზე მეტს სასყიდელს ნუ მოთხოვს ავათმყოფის პატრონს.

ალბათ ბ. გაშაკიძეს არ ცოდნია, თუ რა ბოროტმოქმედებას გამოიწვევს ხოლმე სოფელში ახალ-ახალი ხარჯების დადება. დღეს ჩვენში გლეხი წელში გატეხილი მრავალნაირი ხარჯებისაგან: რომელ ერთს გაუვიდეს?— ბატონის გადასახადს, სახელმწიფო ხარჯებს, დვდლის დრამის ფასს, მასწავლებლის საჯამაგირო გადასახადს, სოფლის ნაცვალს, გზირს, მამასახლისის ქრთამს, თუ ხარჯების ამკრებთა გაიძვერაობას? ნასწავლი ექიმი სოფელში დიდი ღვთის წყალობაა და მისი რჩენა სოფელს არაოდეს არ გაუჭირდება, ოღონდ ექიმი იყოს ხალხის გულშემატკივარი და პირველ ხანებში იტვირთოს ცოტაოდენი გაჭირვება, ხანამდის ხალხი მას გაიცნობდეს და მის ამაგს ღირსეულათ დააფასებდეს.

რედ.

## მოხუცი ნინიკა.

მოხუცდა ჩვენი ნინიკა,
გაუცვდა მკლავი გმირისა...
რარიგ გატეხა ტიალმა
ქალარამ ლონე რკინისა!
ჰაი, დედასა!.. მრავალჯერ
„აფთარა"-ნამგლის ტრიალით
მკერდ-ღია ყანის ბოლოში
წამს გაერღნილა გრიალით.
ხელაურების გორები
გვერდით-გვერდს აუყენია
და ხვითქით მორთულ სახეზე
ალმური გადადენია!.
ახლა კი მუხლებს ველარ ძრავს,
სიბერით მოკვეთილებსა,
წევს, ან ოცნებობს, ან წარსულს
უამბებს შვილი-შვილებსა...
ხან-და-ხან ახლო ყანებში
ყურს მოჰკრავს ხოლმე მღერასა
და გული, ჯერეთ მაგარი,
უწყებს სიამით ძგერასა:
წამოიწევა ცახცახით,
ყავარჯენს დაებჯინება
და, რა გაჰხედავს ბიჭებს,
შვებით ლა გაიღიმება...

სოზელი.